№ 254 დეკემბერი 4, პარასკევი 1887 დეკემბერი 4, პარასკევი № 254

| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის სააგენტოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ტფილისი, 3 დეკემბერი

როგორც სჩანს, საფრანგეთის ცხოვრება ისევე ჩვეულებრივის წესით იწარმოებს. არჩეულ იქმნა პრეზიდენტი უდავიდარაბოდ და შეუფერხებლად, ისე რომ არც ერთი რესპუბლიკელი დასი მეორეს გზაზედ არ გადაელობა. ყველა რესპუბლიკელი დასები მოქმედობდნენ თანახმად და მხოლოდ იმას დაეძებდნენ, რომ რესპუბლიკას არავითარი ხიფათი არ შეხვედროდა. მერე დახედეთ, რა სიფრთხილით მოქმედებდნენ რესპუბლიკელნი: იმათ აირჩიეს ისეთი კაცი, რომელზედაც არავის არ შეუძლიან ეჭვი აიღოს; სადი-კარნო ისეთ კაცად არის ცნობილი, რომელიც არასოდეს არ უღალატებს რესპუბლიკას და რესპუბლიკელს აზრს. ბევრი იმას მოელოდა, რომ საფრანგეთს საპრეზიდენტო კრიზისი რაიმე ხიფათს შეამთხვევსო, თვით პატივცემული და პატიოსანი გრევიც ამ აზრისავე იყო, მაგრამ იმისი ეჭვი ჯერ-ჯერობით უსაბუთო გამოდგა.

იმისთანა კაცების ამორჩევა პრეზიდენტად, როგორნიც გრევი და სადი კარნო არიან, გვიმტკიცებს, რომ რესპუბლიკელი დასები დიდის სიფრთხილით და სიფხიზლით მოქმედებენ, როცა რომელიმე მძიმე და რთული სახელმწიფო საგანი აღმოუჩნდებათ. მაგალითად, კარნოს წინა მოადგილემ, გრევიმ, დაუმტკიცა საფრანგეთს, რომ საფრანგეთი სრულიადაც არ შესცდა, როცა გრევის მიანდო სახელმწიფოს მეთაურობა.

ამას წინად ვენის გაზეთები ამბობდნენ, რომ მას აქედ, რაც ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა იმპერატორი ვილჰელმი და თავადი ბისმარკი, მეგობრული კავშირი ავსტრიასა და რუსეთს შორის კიდევ უფრო განმტკიცდაო. ასე გასტანა რამდენსამე დღეს.

ეხლა-კი იმავ გაზეთებს კილო შეუცვლიათ და სრულიად სხვას ამბობენ. ჯერ თავი ძალიან გამოიდეს და ამბობდნენ, რომ ავსტრია თავის უფლებებს და ინტერესებს არავის დაუთმობსო. აგრეთვე იწერებიან, ვითომ საჭიროა საზღვრები გავამაგროთო. იწერებიან, ვითომ ფრანც-იოსები, ვენიდამ არსად წავაო და მონაწილეობას მიიღებს სამხედრო რჩევაში იმის თაობაზე, რომ გამაგრებულ იქმნას ავსტრიის საზღვრები. ერთის სიტყვით, ავსტრია ძალიან დამფრთხალა იმ გარემოებით, რომ რუსეთი დიდი და ძლიერიაო. თუმცა რუსეთს არავითარი მტრული განზრახვა არა ჰქონია და თუ საზღვრებს აძლიერებს, მხოლოდ იმისთვის, რომ ყოველს შემთხვევისათვის და მშვიდობიანობის დასაცველად მზად იყოს. დიაღ, ის შიში და ეჭვი ავსტრიისა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, უსაბუთო ყოფილა. აი, რასა სწერს ერთი გაზეთი ამის თაობაზე: „ოფიციალური განწყობილება რუსეთსა და ავსტრიას შორის ისევე მშვიდრია, როგორიც დღემდის იყოვო; საბუთი არ არის ვიფიქროთ, ვითომ იგი განწყობილება შერყეული იყოსო. ბოლგარიის საქმე ისევ ძველს მდგომარეობაშია და ამიტომაც ამ საქმეს არ შეუძლიან შესცვალოს რუსეთისა და ავსტრიის ურთიერთობა“.

თვით ვენაში თან-და-თან რწმუნდებიან, რომ რუსეთს არავითარი განზრახვა არა აქვს ავსტრიის წინააღმდეგ. ამბობენ, რომ ის ხმა, ვითომ რუსეთი უპირებს ავსტრიას თავ-დასხმას, ტყუილია, ბისმარკის ბრძანებით იყო გავრცელებული, რათა ავსტრიასაც თავი გამოადებინოს და სხვა სახელმწიფოებიც დააფრთხოს და მიიმხროს ისინი თავისკენაო. ვინ იცის, მართალს ამბობენ ბისმარკზე, თუ ცილსა სწამებენ! თუ მართალს ამბობენ, კიდევ ერთხელა მტკიცდება, რომ ბისმარკი სრულიადაც საიმედო და სანდო მომხრე არ არის.

ამას წინად ვწერდით, თუ რა აყალმაყალი ასტეხა იმ ხმამ, ვითომ ბისმარკმა ყალბებად იცნო ის დოკუმენტები, რომელიც რუსეთის კაბინეთს ჰქონია ხელში. ეხლა იმავ საქმის თაობაზე ბერლინში ამბობენ, ვითომ განზრახვა აქვთ გაგზავნონ პეტერბურგს სტატს-სეკრეტარი ჰერბერტ ბისმარკი, რომელმაც უნდა დაამტკიცოს, რომ ბისმარკს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია რუსეთისათვის და არც არავითარი ისეთი ქაღალდი დაუწერია, რომელიც ლაქსა სდებდეს გერმანიის პოლიტიკასა.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ადმინისტრატორი ქართულ თეატრის შენობისა, ბ-ნი ფორკატი, აცხადებს: „სხვა-და-სხვა ხიფათის ასაცილებლად, თეატრის ადმინისტრაცია უმორჩილესად აუწყებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომლის უმთავრესს ნაწილს არა ჰქონია შემთხვევა ელექტრონის სინათლის ნახვისა, რომ ელექტრონის სინათლე შესაძლოა უცებ ჩაქრეს მცირე ხნობით და რამდენსამე წუთს შემდევ ისევ გაცხოველდეს. ამას გარდა თეატრის ადმინისტრაცია ვალად რაცხს დაუმატოს, რომ ელექტრონით განათების გამო თეატრში არას გზით ცეცხლი არ გაჩნდება, რა მიზეზითაც ეს განათება შემოღებულია ყველა თეატრებში საზღვარ-გარედ და აგრეთვე რუსეთშიაც მთავრობის განკარგულებით. რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში სრული სიბნელე არ ჩამოვარდეს, ამისათვის თეატრში სანთლიანი ფარნებიც ენთება“.

*** 2 დეკემბერს ტფილისის ვაგზალზე, მატარებლის მოსვლის დროს, მოსჭრეს ჯიბე ბაქოში მიმავალ თათარს, რომელსაც თექვსმეტი თუმანი და ოთხი მანეთი ჰქონოდა.

ჯიბგირები დაიმალნენ. მგზავრ-თათარს ამხანაგებმა მოუგროვეს ბილეთის ფასი და სამადლოდ წაიყვანეს.

*** რკინის გზაზე მოგზაურები შემოგვჩივიან, რომ უმეტესი ნაწილი სადგურთა უფროსებისა თითო-ოროლ კაპეიკ ხურდას აღარ გვიბრუნებენ ხოლმე და, თუ მოვთხოვეთ, შემოგვძახებენ—ხურდა არა გვაქვს, ბილეთი მოგვეცით უკანვეო.

ამ შემთხვევაში დიდრონ სადგურებზე უფრო აჭარბებენ, საათში ორმოც მგზავრს რომ მისცენ ბილეთი, ყველას დააკლებენ რასმეს, მოუჭრიან, მეტადრე სოფლელ ხალხსა.

*** ბ-ნ სოლიკო მესტიაშვილს, სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს, განუზრახავს სწეროს და ბეჭდოს საყმაწვილო საკითხავი წიგნები. ამ ხელად უკვე იბეჭდება მის მიერ შედგენილი საყმაწვილო წიგნი „ბუნების მოვლენანი“ რამდენისამე სურათით. როგორც შევიტყეთ, ავტორს სურს ამ წიგნის ასი ცალი შესწიროს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“.

## ფელეტონი

### წერილი პარიჟიდამ

რესპუბლიკის წინანდელი პრეზიდენტი, ბ-ნი გრევი, პრეზიდენტობიდგან გადაყენებულ იქმნა და დღეს უკვე ახალი პრეზიდენტი, ბ-ნი სადი-კარნო, ამოირჩიეს.

ყველა იმას ამბობდა წინადვე, რომ რა-კი რუვიეს სამინისტრო დაეცემა, ბ-ნი გრევი ახალს ველარ შეადგენს და იძულებული შეიქმნება პრეზიდენტობაზე უარი თქვასო. საქმეც სწორედ ასე მოხდა: რუვიეს სამინისტრომ თავი ვერ დაიჭირა, გრევიმ ფრეისინე მიიწვია და ახალის სამინისტროს შედგენა სთხოვა; ფრეისინემ გადაწყვეტილი არა უთხრა-რა და ერთი დღევადა სთხოვა, მოვიფიქრებო. მეორე დღეს უარი განაცხადა. ამის შემდეგ კლემანსო იყო მიწვეული; გრევიმ კაბინეთის შედგენა სთხოვა, მაგრამ ბ-ნ კლემანსომ არ იტვირთა, დღევანდელ გარემოებათა შორის არ შემიძლიანო, გამოაცხადა-კი, რომ ყოველთვის მზადა ვარ სამშობლოს სამსახურისათვისაო. სხვათა შორის კლემანსომ ისიცა თქვა, რომ სამინისტრო კრიზისს საპრეზიდენტო კრიზისიც თან მოჰყვებაო. შემდეგ მიწვეულ იქმნენ ელისეს სასახლეში ფლოკე, გობლე, ბრისონი, ფერრი და სხ. უმრავლესობა იმას ეუბნებოდა გრევის, რაც კლემანსომ უთხრა, ე. ი. სუყველას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნდა გრევის სამსახურიდგან გადადგომა; გრევი-კი ჯერ-ჯერობით ელისეს სასახლის დატოვებას არ აპირებდა და ცდილობდა ახალის სამინისტროს შედგენას. უკანასკნელად ერთი ზომიერი რესპუბლიკელი, სახელდობრ რიბო, მიიწვია რჩევის საკითხავად; ამ დეპუტატმაც აღიარა, თუმცა გულმტკივნეულობით-კი, რომ სამინისტროს კრიზისთან საპრეზიდენტო კრიზისიც აუცილებელიაო.

რა-კი საქმე ასე დატრიალდა, გრევიმ ელისეს სასახლის დატოვება განიზრახა და სამსახურიდგან გადამდგარს სამინისტროს სთხოვა, ისევ ეტვირთა პრეზიდენტის ამორჩევამდე საქმეების წარმოება.

ეს მოხდა 27 ნოემბერს. ამ დღეს თანამდებობის აღსრულებაში შესულმა სამინისტრომ სენატს და პარლამენტს გამოუცხადა, რომ გრევი თავის აზრს პირველს დეკემბერს გამოაცხადებსო. ამის გამო სეანსი 1 დეკემბრისათვის გადაიდო.

ამასობაში სხვა-და-სხვა დასებმა თავ-თავისი კანდიდატები დაასახელეს: ოპორტუნისტებმა ჟულ-ფერრი და რადიკალებმა ფრეისინე და ფლოკე. მონარქიელებისას კაცი ვერას გაიგებდა, რადგანაც ყველაფერს საიდუმლოდ არიგებდნენ.

რესპუბლიკელების ამ გვარმა დანაწილებამ დაჰბადა ის აზრი რადიკალებში, რომ როგორმე ყველა რესპუბლიკელების კრება მომხდარიყო პრეზიდენტის კანდიდატის დასასახელებლად. ამისთვის დელეგატები დანიშნეს და მიანდეს სენატის და პარლამენტის რესპუბლიკელების მოწვევა საზოგადო კრებაზე. რესპუბლიკელები მოსამზადებელის კრების წინააღმდეგნი არ იყვნენ, მხოლოდ საუმჯობესოდ მიაჩნდათ, რომ ეს კრება ვერსალში კონგრესის დაწყების დღეს მომხდარიყო; ამ ნაირად რადიკალების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ამავე დროს ფერრიზე ეჭვი შეიტანეს: ჰფიქრობდნენ, რომ ფერრი თავის დასის და მონარქიელების შემწეობით ხმის უმრავლესობას მიიღებდა და პრეზიდენტად იქნებოდა ამორჩეული.

ამ ამბავმა მეტად ააღელვა პარიჟელები: ყოველ დღე იმართებოდა დეპუტატების და ქალაქის საბჭოს წევრთა წინამძღოლობით კრებანი, საცა ცხარე სიტყვებს წარმოსთქვამდნენ ხოლმე და იმ აზრს ასკვნიდნენ, რომ თუ ფერრი იქმნა ამორჩეული, პარიჟის მოქალაქენი თავ-განწირული დაიწყებენ წინააღმდეგობასაო. უფრო შესანიშნავი კრება მოხდა ესრედ წოდებულის ბლანკისტების მოთავეობით. ამ კრებაზე სულ იმას იძახოდნენ „ძირს ფერრიო!“. სხვათა შორის ქ-მა ლუიზა მიშელმა სთქვა სიტყვა და ჩვეულებრივის დაურიდებლობით გაჰკიცხა ფერრი და ურჩია კრებას, ეწინააღმდეგოთ ფერრის ამორჩევასაო. კრების გათავებისას თავ-მჯდომარემ, კომუნის ექს-გენერალმა ოდმა, ხალხს პაემანი მეორე დღისათვის ბურბონის სასახლესთან დაუნიშნა.

დადგა 1 დეკემბერიც. შუა-დღიდგან დიდ-ძალი ხალხი შემოერტყა პარლამენტს და ყველგან ის ისმოდა: „ძირს ფერრიო!“ ხალხის რიცხვი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მრავლდებოდა; ომნიბუსების და ტრამვაის სიარული შეჩერდა: „ძირს ფერრი!“ იძახდა ყველა და ყურთა-სმენა აღარ იყო. პოლიციამ ხალხის გაფანტვა მოინდომა, მაგრამ სიცოტავის გამო ვერ მოახერხა; პატარა ხანს უკან ცხენოსანი ჯარი მოვიდა და ხალხი პარლამენტს მოაშორა. ამ ვაი-ვაგლახში ხმა გავარდა, რომ გრევი პრეზიდენტობას თავს არ ანებებსო; ეხლა-კი „ძირს ფერრი!“-ს ძახილს „ძირს გრევი!“ შეუერთდა; პოლიციას მეტად უძნელდებოდა ხალხის შეკავება, მით უმეტესად, რომ ამ დროს დერულედი, ლუიზა მიშელი და სხ., რომლებიც ხალხში იყვნენ, ხალხს აქეზებდნენ საწინააღმდეგოდ.

პარლამენტს ბ-ნ გრევის პრეზიდენ-

*** დრამატიულ საზოგადოებას მიუღია თავ. რაფიელ ერისთავისაგან სამი პიესა—ერთი ორიგინალური და ორიც გადმოკეთებული. ორიგინალური არის ორ-მოქმედებიანი ვოდევილი „ქაჩუა“, სოფლის ცხოვრებიდამ; გადმოკეთებულები — „სოფლის მასწავლებელი“ და „ბამბა“.

*** იმავ საზოგადოებისათვის ბ-ნ აკაკსაც გარდაუცია თავისი ახალი ისტორიული დრამა, სახელად „გელა“, ოთხ-მოქმედებიანი პიესა ერეკლე მეორის ყმაწვილობის დროიდამ.

*** ამას წინად მოგვივიდა შემცდარი ამბავი, ვითომც ბ-ნ ნ. ცისკარაშვილს განზრახვა ჰქონოდეს თუშებისათვის განკერძოებულის ანბანის შედგენა. დღეს ბ-ნი ცისკარაშვილი გვაცნობებს, რომ სრულიად ტყუილია და თავის დღეში აზრადაც არ მოსვლია თუშთათვის სხვა გვარ ანბანის შედგენაო. რედაქცია დიდადა სწუხს, რომ ასეთი უსაფუძვლო ცნობა გამოაცხადა გაზეთში.

*** სოფ. შანკევარი (დუშეთის მაზრა): ჩვენს სოფელს შემოეჩვია ერთი საკვირველი ქურდი, თიანეთის მცხოვრები. დაიპარავს ცხენებს თიანეთში, მოდის შანკევარსა და აქ ოსებზე ასაღებს. ყველამ იცის ამ ქურდის ვინაობა, ისიც-კი იციან, რომ თავისი არა გააჩნია-რა და ელალება ნაქურდალ ცხენებსა. მამასახლისს არა ერთხელ დაუჭერია ეს ქურდი და წარუდგენია, სადაც ჯერ არს, მაგრამ რამდენისამე დღის შემდეგ ქურდი ისევ განთავისუფლებული დაბრუნებულა და თანაც დაპარული ცხენები მოუღალია გასაყიდად.

*** სოფ. წავკისი: ჩვენს სოფელში სცხოვრობს ერთი მოხუცებული ას თხუთმეტის წლის ქვრივი, მარიამ მალლაქველიძისა, რომელიც ცხრა ვაჟის დედაა და ძალიან კარგად ახსოვს საქართველოში რუსების შემოსვლა.

მარიამი ჯან-ღონეზე და ჭკუა-გონებაზე ძლიერ კარგად არის, მხოლოდ ამ ბოლოს დროს თვალთა ჩინი დააკლდა.

*** ქსნის ხეობიდგან გვწერენ, რომ აქეთ ამ ბოლოს დროს ძლიერ გახშირდა ქურდობაო. ამას წინად სოფ. თეზში ერთს გლეხს ესტუმრა სალამოქამს ოკმელი ცხენოსანი კაცი. შეიყვანეს ბოსელში ცხენი თუ არა, მაშინვე სცემოდა ქურდი, აეგლიჯა ბაგიდგან უნაგირიანი ცხენი, შემჯდარიყო არხეინად და გასდგომოდა გზასა.

*** იქიდამვე: ამას წინად სალამოს 8 საათზე გაუტეხეს სახლი გლეხს ილურიძესა, წაიღეს ხალიჩა, ტანთსაცმელი და ხუთი თუმანი ფულად. ამ აშკარა ავაზაკობას ოსებს აბრალებენ.

*** გაზ. „**Тиф. Листокъ**“-ი გვაცნობებს, რომ შაბათს, 5 დეკემბერს, ტფილისის „საბრანიაში“ დანიშნულია კონცერტი ნორაშენის საეკკლესიო სკოლის სასარგებლოდ. მონაწილეობას მიიღებენ არტისტი ქალები და კაცები ოპერის დასისანიო.

**შეცდომის გასწორება**: ასოთ-ამწყობთა უყურადღებობით გუშინდელ გაზეთში, მეცხრე ამბის ბოლოს, სწერია: „არ იქნებოდა ურიგო, რომ სანიტარულ კომისიის წევრთ ათასში ერთხელ მაინც შეეხედნათ ამ სამზარეულოებში“. ამ სიტყვებით უნდა დაბოლოვებულიყო წინა ამბავი, მერვე.

## წერილი ქუთაისიდამ

მომავალ იანვრის პირველს რიცხვებში უნდა მოხდეს ქალაქის თავისა და გამგეობის ერთის წევრის არჩევა, რადგან იმათ სამსახურის ვადა უსრულდებათ და დებულებისამებრ ხელ-ახლად უნდა იყარონ კენჭი. სამწუხაროდ, ჩვენის ქალაქის ახლანდელ მეთაურებს არ მიუძღვით საზოგადოების წინაშე არც სასურველი გულ-შემატკივრობა და არც რაიმე შესამჩნევი ღვაწლი. მათ ისე განვლეს მთელი ის დრო, რაც ამომრჩეველთა ნებამ ჩააბარა მათ ქალაქის მოურავობა და მის ავსა და კარგზე ზრუნვა, რომ არამც თუ გაუმჯობესობა და წარმატება არ დაამჩნიეს ჩვენს ქალაქს, არამედ ბევრის მხრით ფეხი უკან წაადგმევინეს და დააქვეითეს. ბრმაც-კი ხედავს, რომ ამ ხნის განმავლობაში სულ უკან-უკან იხევა ქუთაისის კეთილ-განწყობილება და მეურნეობა.

სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენი ბუნებით ტურფა და კოპწია ქუთაისი, რომელიც უკეთესს ბედის და გამგებლების ღირსია, ისე აივსო წუმპითა და ტალახით, რომ უნებურად მოგვაგონებთ იმ მიყრუებულსა და მივარდნილს დაბებს, სადაც ბინა აქვთ ბინძურობით განთქმულ პოლშელ ურიებს. ავიღოთ მაგალითად ჩვენი ქუჩები, მათი საარაკო სიწამხდრე და აღმოჩნდება, თუ რამდენად თავისის მოვალეობის გულ-აგდებით ამსრულებელნი ყოფილან ჩვენი ქალაქის მოურავები. ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ ქუჩების მდგომარეობა ქალაქისათვის წვრილმანი საქმე იყოს. ჩვენა გვგონია, რომ მათის სიავ-კარგით განუზვიადებლად შეიძლება გამოიწყოს, თუ რაოდენი ღვაწლი და მზრუნველობაა მიმართული ქალაქის საკეთილ-დღეოდ. როცა უწინ ჩამოვარდებოდა სიტყვა ქუთაისის ქუჩების საძაგელსა და სამარცხვინო მდგომარეობაზე, ჩვენი გამგებლები მოჰყვებოდნენ წყლის ნაყვას და ცალიერს ლაპარაკს, ლაპარაკს და ლაპარაკს... გვკარგებოდა კაცს ჩვენის დასაძაგლებულ ქუჩების შესწორების ყოველივე იმედი, თუ-კი დაიჯერებდი და აჰყვებოდი იმათ გაუთავებელს და ზანტს ჩამოთვლას, ვითომც ათასის აუცილებელ დაბრკოლებისას... თითონ ხელს არ ანძრევდენ ი დაღოცვილები და ყველაფერს თავზე ახვევდენ მცხოვრებლების უგუნურობასა და მათგან ფულის უადგილო გაუმეტებლობას. „ქე სად აუვაო, შენი ჭირიმე, გახრეკილი ქუთაისი იმდენ ხარჯს, რამოდენიც საჭიროა მაგ საქმისათვის... აქ ასი ათასი მანეთია საჭირო, და ქე ვინ ეშმაკი მოგაშავებს ამ ქესატობაში მაგ ზღვა ფულსაო“... ბძანებდნენ ზოგიერთი ვაჟბატონები, რომლებიც ჩვენში ენა-მახვილ კაცებად არიან ცნობილნი და ნამდვილად-კი სიტყვის თქმაც არ ეხერხებათ. ბოლოს, მათდა შესარცხვენად, გამოჩნდა კაცი, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ ქადა ორივ ხელით იჭმევა, თუ გული გულობს; რომელმაც ცხადად და სათვალ-და-თვალოდ დაგვანახა ყველას, რომ თითქმის სულ უბრალო და ადვილად მოსახერხებელი საქმე ყოფილა ქუჩების გასწორება, თუ მართლა გულით მოინდომებს კაცი და გამოიჩენს ცოტაოდენს ფხასა და მეცადინეობას.

ახლა ბევრგან ქუთაისში გაცხარებული მუშაობაა ქვებით ქუჩების მოსაფენად, აქა-იქ გამართულია კიდეც მშვენიერი ქვა-ფენილი, ზოგან ტროტუარებსაც აკეთებენ, სახლებს ალამაზებენ... და სრული იმედია, რომ მალე ქუთაისის სადღაბი ტალახი და ოღრო-ჩოღროიანი კისერ-მოსატეხი ქუჩები წარსულ ამბავად გადიქცევა...

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს ყველაფერი მოხდა ჩვენგან არჩეულ მოურავების ხელ-გაუნძრევლად და სხვა კაცის, რომელიც გარეშე უწყებას ეკუთვნის, თაოსნობით. ახლა აღმოჩნდა, რომ მცხოვრებლების დათანხმება და მათგან ფულის გამოღება შესაძლებელი ყოფილა; აღმოჩნდა, რომ მცხოვრებლები სიამოვნებით აასრულებენ ქალაქის წინაშე თავიანთს ვალდებულებას, თუ თაოსანი ეყოლათ.

თუ სადამდე მიაღწევს ჩვენის საქალაქო გამგეობის უთაური დაუდევრობა, იქიდამა სჩანს, რომ ბევრგან დატეხილი და ქუჩის პირად ზვინებად დაწყობილი ქვა ისევ მიწამ დაჭყარა, გორებად აქცია და ისეც დაოღრო-ჩოღროებულ ქუჩებს, შევლის მაგიერ, სულ ბოლო მოუღო. ან დატეხა რა იყო, ან ასე უხეიროდ შრომისა და ფულის დაზნევა რაა? ვისაც არა სჯერა ეს ამბავი, შემოუაროს ჩრდილოეთით ჩვენს ბულვარს, ან გაიხედოს იმ ქუჩისაკენ, სადაც ფოსტაა და პრინცი სდგას. ზოგან ახლად ქვით მოფენილ ქუჩებზე წვიმისაგან გადარეცხილს ტალახს აუვსია თხრილები და, თუ ადრინდელმა უყურადღებობამ კიდევ გასტანა და დროით არ ამოწმინდეს თხრილები, გაახლებულ ქუჩებს ძველი ამბავი მოელის. თხრილების დროით ამოწმენდა რა დიდი საქმეა, თუ მეტადრე ქალაქს თავის მუშებიცა ჰყავს და საზიდავი მოწყობილობაც! ნეტა რა მოუცლელი საქმე აქვთ ამათ?

ავიღოთ თუნდ ცეცხლის საქრობი მაშინა, ან, კიდევ უკეთესი, ჩვენი ესრედ წოდებულის თეატრის საქმე. ესრედ წოდებულისაო, ვამბობ იმიტომ, რომ თეატრის სახელი ამ უშნო ხუხულას, რომელსაც კარგი ცირკიც-კი იუკადრისებს, სულ ტყუილად მიუთვისებია. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ სადღაც უგადიო ქვეყანას ერთს ცხოველს ვარდისახარს უძახოდნო. ეს თეატრი ააშენა ერთს დროს ჩვენში სახელოვანმა მოჭახრაკემ, შემდეგ სახელოვანადვე გაკოტრებულმა და მრავალის ამაწიოკებელმა ხარაზოვმა ქალაქის მიწაზე და შეეკრა ქალაქს სხვა-და-სხვა პირობით. გაკოტრებულის ხარაზოვის ქონება იგდო ხელში ერთ-ერთის აქაურის აფთიაქის პატრონმა, ვიტუშინსკიმ. რადგან ამ უკანასკნელს ხსენებულ პირობის არც ერთი მუხლი არ აუსრულებია, ამიტომ ერთმა ჩვენებურმა ყმაწვილმა კაცმა მიჰმართა ამ ორიოდე წლის წინად ჩვენს გამგეობას და სთხოვა, პირობით შემეკარით და ბევრად უკეთესს თეატრს ავაშენებო. მაშინ ჩვენმა გაზეთმაც და ახალგაზდ ბამაც მხარი მისცა ამ ყმაწვილკაცის განზრახვასა, მაგრამ საქმე მოინელა საქალაქო გამგეობის კანცელარიამ. ნეტა რად ინება გამგეობამ ახლანდელ თეატრის შეუცვლელი დღეგრძელობა და ბ-ნ ვიტუშინსკის ხელში დატოვება, როდესაც ყველა ხედავს, რომ ბ-ნი მეაფთიაქე ისე ეპყრობა ამ სათეატრო შენობას, როგორც საცხვრე ფარეხს. წვიმის დროს თუნუქით ალალ-ბედზე გადაკრულს თეატრის სახურავს აუტყდება ისეთი კაკუნი, რომ კაცს აღარ ეთეატრება და ყურები აქვს წართმეული. თეატრს გათბობა არც უწერია და მოუხერხებელიც არის; სიცივეს და ქარს იქ ვერაფერი ვერ იმაგრებს და ამიტომ ბევრი ვერა ბედავს ავდარში თეატრში წასვლას გაციების შიშით. თუმცა გამგეობა ვალდებული იყო მიექცია ამისათვის ჯეროვანი ყურადღება, მაგრამ გულ-გრილობამ დასძლია.

წარმოიდგინეთ, რომ აქაც, გამგეობის სასირცხოდ, ადმინისტრაცია გამოესარჩლა, მის მაგიერ, საზოგადოების ინტერესებს, ითავა საქმე და, როგორც ნამდვილად ვიცით, ახლა ჩვენს სუტ-თეატრში აკრძალულია წარმოდგენების გამართვა იმ დრომდის, სანამ მოიჯარადრე შენობას არ შეაკეთებს. ისიც წარმოიდგინეთ, რომ სწორედ იმ დროს, როცა ადმინისტრაცია უკრძალავს ვიტუშინსკის თეატრში წარმოდგენების გამართვას, ვი-

---

ტობიდგან არ-გადადგომა არ ეჭაშნიკა. სეანსი 2 საათზე დაიწყო, მაგრამ ამ ამბის გაგების შემდეგ 4 საათისათვის გადაიდო, რომ დასებს მოლაპარაკება შესძლებოდათ. 4 საათზე, სეანსის დაწყების შემდეგ, დიეტმა თქვა: «პარლამენტმა 6 საათამდე უცადოს პრეზიდენტის პასუხს და მერე-კი დაიშალოსო». ეს წინადადება დიდის უმრავლესობით იქმნა მიღებული. 6 საათზე რუვიემ, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გრევისთან იყო წასული პარლამენტის გადაწყვეტილების საცნობელად, გამოუცხადა პარლამენტს გრევის მხრივ, რომ ის პარლამენტის გარდაწყვეტილების შემდეგ მზად არის პრეზიდენტობას თავი დაანებოსო. პარლამენტის სეანსი მეორე დღისათვის გადაიდო.

ამ სალამოს პარიჟში ბევრს ალაგას იყო გამართული ყრილობა; ბევრი სიტყვა იყო წარმოთქმული ამ ყრილობებზე. საკვირველი ის არის, რომ ლუიზა მიშელმა სუყველა კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა და სუყველგან იმას იმეორებდა, რომ ფერრის პრეზიდენტად არჩევა და მის მოკვლა ერთი უნდა იყოსო; ასეთის სიტყვებით გახურებული ხალხი მზად იყო ყველაფრისათვის, მაგრამ შუა-ღამე გადასული იყო და რაღას იზამდა.

გათენდა 2 დეკემბერიც; ქალაქი აჩქროლებული იყო; სუყველა პარლამენტისკენ მიეშურებოდა. პირველი საათი იქნებოდა, როცა პარლამენტს მივუახლოვდი, მაგრამ აქ გზა შეკრული იყო და დიდ-ძალი ხალხი იცდიდა. რადგანაც თანხმობის მოედანზე მეტი ხალხი მეგულებოდა, დავბრუნდი, ხიდზე გაველი და თანხმობის მოედანზე მივედი; მართლა მოედანი ხალხით გატენილი იყო და „ძირს ფერრის!“ ძახილი გაისმოდა; ხიდის ყური პოლიციელებით იყო გამაგრებული და ცხენოსანი ჯარი ხალხს ცხენებით ჰფანტავდა; რაც დრო გადიოდა, ხალხის რიცხვი მატულობდა და ცხენოსანი ჯარიც მრავლდებოდა. ხალხი ბრაზდებოდა და ჯარს, რომლის ურიგო ქცევა ხან-და-ხან მართლა გასაბრაზებელი იყო, ურიგოდ იხსენიებდა; ჯარიც უკანასკნელად იმ წერტილამდის მივიდა, რომ ხმალი იშიშვლა, მაგრამ უფროსის ბძანებით ისევ ჩააგო. ბოლოს იქამდისაც მივიდა საქმე, რომ ხალხმა ჯარს ქვის სროლა დაუწყო. რამდენიმე კაცი დაიჭრა. უცებ ხალხი ერთს ალაგისკენ გაეშურა—იქ დეპუტატი ბასლი დეპუტატთა ფორმით დავინახე. ბასლიმ ხალხს გრევის პრეზიდენტობიდგან გადადგომა გამოუცხადა და ხალხი ქალაქის საბჭოში მიიწვია; ამის თქმა, ბასლის წასვლა და ხალხის უკან გაყოლა მარსელიეზის მღერით ერთი იყო. ლუვრის მაღაზიასთან ცხენოსანი ჯარი გადაეღობა და ამის გამო ხალხს ისევ უკან დაბრუნება მოუხდა.

სალამოს ჟურნალებიც დაურიგდა ხალხსა, კედლებზე გრევის ეპისტოლე გააკრეს; ვის ჟურნალი ეჭირა ხელში, ვინ კედელზე გაკრულს ეპისტოლეს კითხულობდა; ვისაც წაკითხული ჰქონდა გრევის ეპისტოლე, ხმა-მაღლა ჰქადაქებდა თავის აზრს და, ვისაც ჯერ არ წაეკითხა, ის ან ჟურნალის საყიდლად მიისწრაფოდა, ან ქუჩაზედ გაკრულს ხმამაღლა კითხულობდა და გარს ჯგუფად შემოხვევული ხალხი სულ-განაბული ყურს უგდებდა.

გრევი თავის ეპისტოლეში ამბობდა, რომ ვიდრე შესაძლებელი იყო გაჭირების მიუხედველად, ვცდილობდი, ჩემი მოვალეობა შემესრულებინაო, მაგრამ პარლამენტის გადაწყვეტილების შემდეგ იძულებული ვარ პრეზიდენტობაზე უარი ვთქვაო. პასუხის გება დეე პარლამენტმა იტვირთოსო.

დაღამებისას ხალხი დაიშალა: ყველა ყრილობებზე მიეშურებოდა, რომ იქ გაეგოთ, რა გვარად უნდა მოქცეულიყვნენ შემდეგისათვის. აქ სუყველგან ერთ-ხმად იყო გადაწყვეტილი, რომ თუ ფერრი იქნება პრეზიდენტად ამორჩეული, სუყველა თავის თავს მოვალედ ჩასთვლის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოსო.

გრევის ეპისტოლეს წაკითხვის შემდეგ სენატის და პარლამენტის წევრები მიწვეულ იქმნენ სენატის თავმჯდომარის მიერ მეორე დღისათვის ვერსალში კონგრესზე ახალის რესპუბლიკის პრეზიდენტის ამოსარჩევად *).

*) რესპუბლიკის პრეზიდენტს შეერთებული სენატი და პარლამენტი ირჩევს ხმის უმეტესობით. ეს კრება ვერსალში იკრიბება სენატის თავ-მჯდომარეს უფროსობით.

რადიკალების დასმა კონგრესის წინა დღით მოინდომა მოსამზადებელის კენჭის ყრის გამართვა და ამისთვის სუყველა რესპუბლიკელებს სთხოვა, თქვენც მონაწილეობა მიიღეთო. 600 მეტს რესპუბლიკელ სენატორისაგან თუ დეპუტატთაგან, მხოლოდ 340 კაცმა მიიღო ამ კენჭის ყრაში მონაწილეობა. ოპორტუნისტები არ მოვიდნენ. ამის მიუხედველად კენჭი უყარეს სხვა-და-სხვა კანდიდატებს; ხმის უმრავლესობა ფლოკეს, პარლამენტის თავ-მჯდომარეს, ერგო, შემდეგ ფრეისინეს, ბრისონს, ფერრის და სხ. ფლოკემ კანდიდატობაზე უარი სთქვა; მეორე კენჭის ყრაზე ხმის უმრავლესობა ფრეისინეს ერგო და ამით გათავდა ეს კენჭის ყრა.

მეორე დღეს სენატორები და დეპუტატები დილა ადრიან ვერსალისკენ გაეშურნენ. ერთს თეატრში მთელის რესპუბლიკელების მოსამზადებელი კენჭის ყრა უნდა მომხდარიყო. ოთხჯერ იყარა კენჭი: პირველ და მეორე კენჭის ყრაზე ხმის უმრავლესობა ფერრის ერგო, შემდეგ ფრეისინეს, ბრისონს და კარნოს; მესამეში ჯერ ფერ-

ტუშინსკის შეაქეს გამგეობაში თხოვნა, რომ ღვთის წინაშე, სუბსიდია მერგებაო, მაგრამ შემწეობას არა გთხოვთ, ოღონდ საიჯარადრო ფული, რაღაც ასი მანეთია, მაპატიეთო... მეტი კადნიერება გინდათ-და!

წერილი რომ მეტად არ გაგძელებულიყო, მინდოდა ჯერ-ჯერობით ამით დამესრულებინა აქაური ამბები, მაგრამ არ შემიძლიან, არ მივაქციო მკითხველის ყურადღება იმას, რომ მომავალმა არჩევანებმა ბევრს აუშალა აქ სალერღელი. ზოგს ისეთს კაცს ასახელებს ქალაქის ჰორი კანდიდატებად, რომ არა მჯერა და მხოლოდ მიკვირს ზოგიერთების თავ-აგდებული გაბედულობა: არა განათლება, არა ცოდნა და გამოცდილება, არა დამსახურებული სახელი და პატივი, არამედ კანონების უკანონო აბრუნდები, ანა-და—ფულების მამა-სისხლად გასესხება და მანეთზე მანეთი, თუ ათი შაური სარგებელი, მეტი არაფერი... რა საზოგადო მოღვაწეები გიპირობენ პატრონობას, ჩვენო უზრუნველო და უდარდელო ქუთაისო!..

იმე!

## ხმა შიდა ქართლიდან

(წერილი მეორე)

პირველ წერილში სხვათა შორის ჩვენა ვთქვით, რომ თთ. ამილახვრები თავიანთ გლეხებითურთ, ვიდრე გამრავლდებოდნენ და ვიდრე აწინდელ სოფ. ჭალაში დასახლდებოდნენ, სცხოვრებდნენ იქვე, ჭალის მახლობლად, აღმოსავლეთის მხარეზედ, მაღლობ ადგილას, ტყის პირზედაო. აი სწორედ იმ ტყის პირას, სადაც ამილახვრები იდგნენ, სდგას ერთი ფრიად თავის სიმაღლით და სიფართოვით შესანიშნავი ციხე, რომელსაც სხვილოს ანუ ცხვილოს ციხეს ეძახიან. ციხე ძალიან მაღალია, მეტადრე მაღალი აქვს ჩრდილოეთის კედელი, საიდგანაცა სჩანს მთელი ქართლი, გაღმა მხარი, ქსნის ხეობა და სხვა-და-სხვა ადგილები და სოფლები. ცხვილოს ციხეს სიგრძე 26 საჟენი აქვს, სიგანე—10 და სიმაღლე—6—7 საჟენი. ციხეში შუა ალაგას სდგას ეკკლესია, რომელსაც გარს გალავანი აქვს შემორტყმული. ეკკლესიის ქვეშ არის მარანი ქვევრებითა და პატარა ქოცოებით სავსე (ეკკლესიას დასავლეთის მხარეს აქვს ქვაზედ რაღაც წარწერა, მაგრამ საუბედუროდ ვერ ამოვიკითხე). ჩრდილოეთის მხარეს კედელში დატანებულია ორ-სართულიანი ოთახები; იქვე კედელში დატანებულია დიდი ხარო, ქვიტკირით ამოშენებული და გაჯით გალესილი. სამხრეთის კედელიც სხვა კედლებზედ მაღალი არის გარდა ჩრდილოეთისაზე; მასშიაც რამდენიმე ოთახაა დატანებული. აღმოსავლეთის მხარეს კედელში დატანებული არას ქარის წისქვილი. შუაზედ ციხეს ერთი ოთხ-თვალიანი ბუხარი აქვს (ოთხის ძმისათვის იყოვო, ამბობს ხალხის გარდმოცემა). დასავლეთის მხარეს, კედელთან, აქვს ჭა. ამ ვეებერთელა ციხეს აქვს მეტად პატარა შესავალი კარები დასავლეთის მხრიდგან. სიმაღლე კარებასა იქნება ორი არშინი, სიგანე-კი—არშინ ნახევარი.

ხალხის გარდმოცემა ამ გვარ ისტორიის ნაშთზედ ბევრს არაფერს მოგვითხრობს გარდა იმისა, რომ იგი აშენებულია გივი ამილახვრის მიერ. ხალხის გარდმოცემა არ ასახელებს, რომელს გივს აუშენებია და ან როდის. საქმე იმაშაა, რომ ამილახვრიანთ გვარში სამი გივი ყოფილა. პირველი გივი იყო ამილახვრიანთ გვარში, როდესაც მათ თავადობა მიიღეს, 1465 წ.; მეორე გივი იყო მე-XVII საუკუნეში, ლუარსაბ მეფის დროს; იყო გივი აგრეთვე მე-XVIII საუკუნეში მეფის თეიმურაზის II-ს დროს. თუ ხალხის გარდმოცემას მივიღებთ, ცხვილოს ციხე, უეჭველია, აშენებული უნდა იყოს იმ გივი ამილახვრისაგან, რომელიც 1739 წ. ებრძოდა არაგვის და ქსნის ერისთავებს (პირველად დაიპყრო ქსნის საერისთავო და შემდეგ განიზრახა არაგვის საერისთავოს დაპყრობაც) და რომელიც 50,000 ჯარით წავიდა ბატონიშვილის ირაკლის წინააღმდეგ და დამარცხებულ იქმნა. შეიძლება დაწვრილებით გამოვიკვლიოთ, ცხვილოს ციხე ვისი აშენებულია, როდის და რომელ მტრის წინააღმდეგ.

ჭალიდგან ვერსტ ნახევარზედ სამხრეთისაკენ მდებარეობს სოფ. სამთავისი. ეს სოფელი გაშენებულია მდ. ლეხურას მარცხენა ნაპირზედ, თთ. ამილახვრიანთ მამულში, ჭსნავს და სთესავს ამ თავადების მამულებსავე. სამთავისში სულ 60 მოსახლე მკვიდრობს. თვით სოფელში არც ერთი ამილახვართაგანი არ მოსახლობს, თუმცა აქაური ეკკლესია, როგორც პირველ წერილშივე ვთქვით, მათის საგვარეულოს სამარხად ითვლება. სოფელი ჭავით და ნიადაგით თითქმის ჭალას წააგავს, მხოლოდ აქ წყალი ცოტა ძვირი არის და ზოგიერთა ვენახები ვერ ირწყვის ხოლმე რიგიანად. მინდორი სრულიად არ ირწყვის. მართალია, ლეხურა სამთავისს გვერდზედ ჩამოუდის, მაგრამ სოფელი მაღლობ ადგილზედ არის გაშენებული, ასე რომ ლეხურა რწყავს იმ მამულებს სამთავისელებისას, რომელიც მის ახლო მდებარეობს; ამას გარდა ლეხურა ორ თუ სამ პატარა წისქვილს უბრუნებს სამთავისელებს. სამთავისის მკვიდრნი საეკკლესიონი არიან და სახნავ-სათესი მინდორი და ტყეც საეკკლესიოა. ეს ეკკლესია სამთავისის ტაძარია, რომელიც შაგ შუა სოფელშია აშენებული. ეს მშვენიერი ეკკლესია ნაგებია ძველის ხელოვნებითა და იმისა კედლები მოფენილია თან ჩუქურთმებით და თან ბარელიეფებით; ამ უკანასკნელთა შორის შესანიშნავია ყურძნის მტევნები, ცხოველები და სხვ. ყაიდა ეკკლესიის ნაგებობისა წმინდა ქართულია და ჩვენებური, თითქმის არ წააგავს სრულიად ბიზანტიურს საარხიტექტორო ყაიდას. ჩვენებური ნაშენობა ეკკლესიისა იმითი არის შესანიშნავი, რომ საზოგადო გეგმას დიდი სიმარტივე აქვს და შენობის ნაწილები თანაბრებია, რაიცა ძალიან სასიამოვნოა თვალისათვის: არც ერთი ხაზი, არც ერთი ნაწილი მეტი არ არის.

სამთავისის ეკკლესიის გამო აი რას ამბობს აკადემიკოსი ბროსსე: „ეკკლესია გარ-შემორტყმულია მაგარის გალავანით, როგორც უმეტესი ნაწილი საქართველოს ეკკლესიებისა; აღმოსავლეთის ნაწილი ტაძრისა მორთულია მშვენიერის ჩუქურთმებით და ბარელიეფებით. არხიტექტორთ და მეჩუქურთმეთ დიდი ხელოვნება და მოსაზრება დასჭირდებოდათ, როცა აწყობდნენ აღმოსავლეთის კედლებს, გუმბათს და ფანჯრებს და გამოჭყვანდათ მათზე დიდად მშვენიერი ჩუქურთმებიო. შინაგანობა ტაძრისა, ამბობს იგივე ბროსსე, შესანიშნავს არას წარმოადგენს, მხოლოდ კანკელი მშვენიერი აქვსო. დასავლეთით შემოსავლიდგან სჩანს ჭა; ეს ჭა გაკეთებული უნდა იყოს იმათთვის, ვინც აქ იმალებოდნენ მტრის შემოსევის დროსაო. გუმბათის ქვეშ ცარიელი ადგილია სასაფლაოდ თ. ამილახვრებისა. იგი გაყოფილია ორ ნაწილად. მარჯვენა ნაწილი ეკუთვნის გიორგის ჩამომავალთ და მარცხენა ნაწილი გივის ჩამომავალთ“. (1465 წ.), როდესაც თავადობა მიიღეს, ამილახვრები ხუთ სახლობად იყვნენ გაყოფილნი).

სამთავისის ტაძარი ქმნილ არს, როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, მე-V საუკუნეში სირიიდგან მოსულ ათ ცამეტის ერთ მამათაგან—ისიდორესაგან, რომელიც დასაფლავებულაა მუნვე. შემდეგ მე-XI საუკუნეში ბაგრატ მე-IV სხვათა შორის აღაშენა ისიდორესაგან დაფუძნებულ ეკკლესიაზედ ის დიდი და მშვენიერი სობორო, რომელიც დღეს ლეხურას ხეობას ამშვენებს. სამთავისში იყო ქსნის და ლეხურას ხეობის სამწყემსო კათედრა; იმისი ეპისკოპოზი განაგებდა ამ ორ ხეობის საეკკლესიო მამულების საქმეებს და ეჭირა სხვა ეპისკოპოსთა შორის მე-23 ადგილი. სამთავისის ეპარქია 1800 წლამდე განაგებდა 17 სოფელს.

ამ მშვენიერ ტაძარს სამთავისისას ამ უკანასკნელ დროს ჭერი აქვს დაზიანებული და ხანდისხან წვიმა სწვეთავს კედლებზედ, რის გამოც შესაძლოა, ეკკლესიის მკვიდრი კედლები დაზიანდეს.

ამ გარემოებას დღეს ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა მღვდელმა, ესტ. ცხვედაძემ, და ცდილობს მოაგროვოს კერძო შეწირულობანი და ძვირფასი ნაშთი ისტორიისა ჟამთა ვითარებას და სტიქიონების გავლენას არ შეამუსვრინოს.

ნიკო ლ—ძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბუნებამ იცის ხან-და-ხან სიცელქე და თავის მოგიყინება. ისეთს რასმე დაჰბადავს უცბად, რომ კაცს ვერას გზით ვერ აუხსნია არა-ჩვეულებრივი მოვლენა. ძნელი ასახსნელია აგრეთვე ისეთის ყმაწვილების გაჩენა და დაბადება, რომელნიც თითქმის აკვანშივე ფილოსოფოსობენ. ცელქს ბუნებას დაუბადნია, მაგალითად, ისეთი კაცი, რომელსაც საოცარი მეხსიერება ჰქონია ყმაწვილობაშივე, საოცარი ნიჭი გამოუჩენია მათემატიკაში, ან კიდევ რომელსამე სხვა საგანში. ბუნების დანაბადნი არიან აგრეთვე საოცარის სიმახინჯის კაცნიცა: ზოგი მეტად ზორბა და დიდი ყოფილა პატარაობისასვე, ზოგი ისეთის ქონდრის კაცის ტანისა ყოფილა, რომ ადვილს ვერ ასცილდებია სიბერემდე. საკვირველი ყმაწვილი ყოფილა კიდევ ლიუბეკელი ბაშვი, ქრისტიან-ჰენრიხ გეინეკენი. ამ ყმაწვილის ცხოვრება და თავგარდასავალი მოთხრობილია გაზ. „Моск. Вѣд.“-ში.

ეს საკვირველი ყმაწვილიო, მოგვითხრობს იმისი მასწავლებელი და ბიოგრაფი,—დაიბადა 6 თებერვალს 1721 წელს. მამა მხატვარი ჰყავდა და ძალიან შეფიქრიანდა, რომ ასეთი საოცარი ყმაწვილი დაებადა და ასეთი საოცარი ნიჭი გამოიჩინა. ჯერ წლისა არ იყო, რომ ძველის აღთქმის ისტორია ნახევარზე მეტი იცოდა. წლი-ნახევრისამ სულ გაათავა ისტორია ჩემის ხელმძღვანელობით და შემდეგ ერთის თვის განმავლობაში ახალის აღთქმის ისტორიაც ისწავლა. ამის შემდეგ ყმაწვილმა დაიწყო სწავლა ძველის ისტორიისა, საზოგადო გეოგრაფიისა და ლათინურის ენისა. ორ წლი-ნახევრისა არ შესრულებულიყო ჯერა, რომ 8.000 ლათინური სიტყვა იცოდა. სამის წლისა რომ შესრულდა, დავაწყებინე სადოღმატიკო ღვთის-მეტყველება და ისტორია ეკკლესიისა. საშუალოსა და ახალ საუკუნოების ისტორიას პატარა სწავლული მაშინ მოჰკიდებდა ხოლმე ხელს, როცა ძნელის საგნების სწავლით დაიღლებოდა და შესვენების დრო იყო.

მკითხველს გაუკვირდება ასეთი ამბავი და იტყვის, რომ დასაჯერებელი არ არისო, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთა სხვა შესანიშნავის ყმაწვილების ცხოვრებას, ეს ამბავი არც ისე დაუჯერებელია. ჩვენ ვიცით, მაგალითად, რომ ჯონ სტუარტ მილი სამის წლისა იყო, როცა ბერძნული ენა იცოდა. ასეთისავე შესანიშნავის ნიჭის პატრონები იყვნენ ყმაწვილობაში დიდი მოძღვარი კონფუციოსი, კომედიების მწერალი არისტოფანი, ისტორიკოსი პლინი უმცროსი, მოცარტი და სხვანი.

გეინეკენის ამბავით, განაგრძობს შემდეგ მისი ბიოგრაფი, მოეფინა მთელს განათლებულს ევროპას. ყოველ მხრიდამ მოდიოდნენ იმის სანახავად და პატარა ქრისტიან გეინეკენიც ისე მიიღებდა ხოლმე თავის მნახველთ, თითქო ხნიერი, გამოცდილი და მართებული ადამიანიაო.

საქმე ის არის, რომ ბუნებას ასეთს სიცელქესთან ის თვისებაცა სჭირს, რომ დიდხანს არ აცოცხლებს ჩვეულებრივ იმის კანონების გარდამავალსა.

თავი ყმაწვილისა საშინლად მუშა-

---

რის დამერე კარნოს; მეოთხეში ბ-ნმა კარნომ მიიღო ხმის უმრავლესობა, თუმცა ამ კენჭის ყრას ბევრი არ დასწრებია.

დაიწყო საერო კრების სეანსიც. რუვიეს თავ-მჯდომარეობით მიშლენმა სიტყვა ითხოვა, კონსტიტუციის რევიზიის საჭიროება უნდა დაემტკიცებინა. თავ-მჯდომარემ ლაპარაკის ნება არ მისცა და კენჭის ყრას შეუდგნენ; აი შედეგიც:

| | |
|---|---|
| სადი-კარნო . . . . . | 303 ხმა |
| ფერრი . . . . . | 212 „ |
| გენერალი სოსიე (მონარქიელების კანდიდატი) . | 148 „ |
| ფრეისინე . . . . . | 76 და სხ. |

რადგანაც უმრავლესობა არავის მოუვიდა, მეორედ უნდა ყრილიყო კენჭი. აქ ჟულ-ფერრი სადი-კარნოს მიუახლოვდა, ხელი ჩამოართვა და რაღაც უთხრა. ამ ამბავს ყველა რესპუბლიკელები დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ. ხელის ჩამორთმევით ფერრი კანდიდატობას კარნოს უთმობდა. მეორე კენჭის ყრაზე სადი-კარნოს 616 ხმა ერგო და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქმნა. რესპუბლიკელები ტაშსა სცემდნენ და ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს რესპუბლიკასაო“.

სადი-კარნოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევა ადვილად ასახსნელია: რესპუბლიკის ორმა მოწინააღმდეგე დასმა უარ-ჰყო თავ-თავისი კანდიდატები და შეერთდნენ იმისთანა პატივ-საცემის კაცის ამოსარჩევად, რომელიც არც ერთის დასის კანდიდატი არ იყო.

სამს საათამდის პარიჟი ჩვეულებრივი სანახავი იყო; 3 საათზე პირველი საღამოს გაზეთი გამოვიდა; გაზეთების გამყიდველნი და დამტარებლები კეცვას და ყიდვას ვერ ასდიოდნენ, ქუჩებზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა და კითხულობდა გაზეთებს. მაგრამ ამ გაზეთებში მხოლოდ მოსამზადებელ კენჭის ყრის ანგარიში იყო მოქცეული. ამ ანგარიშიდამ სჩანდა, რომ ფერრის უფრო უნდა ჰქონოდა იმედი პრეზიდენტად არჩევისა, ვიდრე სხვა ვინმეს; ამ დროს სხვა გაზეთიც მოიტანეს; ერთს წამში დაიტაცეს და მუშტრის თვალით კითხულობდნენ, მაგრამ აქაც არ იყო გამოცხადებული უკანასკნელის კენჭის ყრის ამბავი; ძლივს 6 საათზე დავინახეთ ახლად დაბეჭდილი გაზეთი, რომლის სათაურში დიდის ასოებით ეწერა: „კარნო პრეზიდენტად ამორჩეული!“ ამის დანახვა და „გაუმარჯოს კარნოს!“ ძახილი ერთი იყო; სუყველას სიხარული დაეტყო სახეზე, სუყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

8 საათზე რიველის ქუჩაზე, ქალაქის საბჭოსთან, მომიხდა გავლა; აქ აუარებელი ხალხი შეყრილიყო და ქუდის ქნევით განუწყვეტლად ყვიროდა „გაუმარჯოს კარნოსაო!“ დიდს ბულვერებზე ტევა აღარ იყო—კაცს ეგონებოდა, სახლებს ცეცხლი წაჰკიდებია და ხალხი გარეთ გამოსულაო; სიარულისათვის გარჯა საჭირო აღარ იყო—ხალხის ბრბოს თითონ მიჰყავდა კაცი; ამოდენა ხალხს გაზეთები ეჭირა ხელში; ოპერის გარეშემო მთელი მოედანი შავად იყო მოფენილი და ჰყვიროდა „გაუმარჯოს კარნოსაო!“ გაზეთებსაც დიდი ბაზარი გაეხსნა, ზოგი გაზეთი 5 ჯერ დაიბეჭდა და გამოიცა და მაინც ვერ ეყო ყველა მსურველს.

როგორც გაზეთები ამბობენ, „Intransigeant-ის და France“-ის რედაქციებთან დიდ-ძალი ხალხი შეკრებილიყო. როშფორს ხალხისთვის მადლობა გადაეხადა და ეთქვა, რომ ფერრი თუ არ ამოირჩიეს, იმიტომ-რომ ხალხმა არ მოინდომაო.

ახლად ამორჩეული პრეზიდენტი მალე დაბრუნდა პარიჟში და ელისეს სასახლეში მივიდა, საცა დიდ-ძალი ხალხი ალტაცებით მიეგება. ყვირილი „გაუმარჯოს კარნოს!“ მანამდის არ გათავდა, ვიდრე კარნო სარკმელთან არ გამოდგა და ხალხს მადლობა არ გადაუხადა.

სხვა-და-სხვათაგან მილოცვის მოსმენის შემდეგ, კარნო გრევის სანახავად წავიდა; გრევიმ იმ დღესვე დასცალა ელისეს სასახლე, რა დღესაც პრეზიდენტობაზე უარი სთქვა.

სადი-კარნო დაბადებულია 1837 წელს, კარნოს მამა, იპოლიტე კარნო, უხუცესი სენატორია.

20 წლისა სადი-კარნო საპოლიტეხნიკო სკოლაში იქმნა მიღებული, შემდეგ გზათა ინსტიტუტში შევიდა და სწავლა პირველ შეგირდად გაათავა.

1871 წელს იანვარში პრეფექტად იყო დანიშნული; ამავე წელს თებერვალში საერო კრების დეპუტატად აირჩიეს. აზრებითა და მიმართულებით კარნო მემარცხენე რესპუბლიკელების დასს ეკუთვნოდა.

საერო კრების დაშლის შემდეგ პარლამენტში დეპუტატად იყო არჩეული.

1880 წ. ბ-ნ ფერრის სამინისტროში სახელმწიფო მუშაობათა მინისტრად იყო მიწვეული; ფერრის სამინისტროს გადადგომის შემდეგ პარლამენტის ვიცე-პრეზიდენტად იყო არჩეული; ბრისონის სამინისტროში იგივე პორტფელი ეჭირა, რაც ფერრისაში. ფრეისინეს უკანასკნელს სამინისტროში ფინანსთა მინისტრად იყო მიწვეული. ამ თანამდებობაში პარლამენტის პატივის ცემა დაიმსახურა თავის სამართლიანობით.

ამ წლის ბიუჯეტის კომისიაში პირველ წევრად იყო არჩეული.

გ. ყ—ნი

პარიჟი, 22 ნოემბერი.

ობდა და ზრდა სულისა და ხორცისა ერთმანერთს არ ეთანაბრებოდა. ჯანით გეინეკენი ძალიან სუსტი იყო. მეოთხე წელში რომ გადადგა, ზედ-მიწევნით იცო-და ფრანგული. ფრანგულად თავისუფლად შეეძლო თხზულებანიც-კი დაეწერა, მაგ-რამ ხელები ისეთი სუსტი და უღონო ჰქონ-და, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო წერის სწავლება დამეწყობინებინა.

პატარა ფილოსოფოსი კარგად ჰგრძნობდა თურმე თავის ჯანის სისუსტესა და უღონობას და ამიტომ ხშირად ამბობდა აღმო-ოხვრით ლათინურად: Utinam mens sana in corpore sano, ვი-თომ ნეტავ სული სადი და ძლიე-რი საღსა და ძლიერს ჯანში მე-დგასო.

გეინეკენი ავად გახდა და ექიმებმა ზღვაზე მოგზაურობა ურჩიეს. ძალიან კარგიო, სთქვა ყმაწვილმა, ზღვის ჰავა მარგებს და მაგას გარდა კოპენჰაგენში ვნახავ მეფეს და ჩემს დახატულს გეოგ-რაფიულს რუკებს ვაჩვენებო. როცა მე-ფესთან მივედით, იქ შეკრებულიყვნენ დიდ-კაცობა და სწავლულნი ამ ბუნების საკვირველების სანახავად. ქრისტიანე დიდის პატივის-ცემით ილებდა ყველას, ვისაც იმის ნახვა უნდოდა, და მშვენიე-რის ფრანგულის ენით აძლევდა პასუხს ყველას, ვინც ეკითხებოდა რასმე. როცა ვუთხარით, რომ ახლა მეფეს უნდა შენი ნახვაო, ყმაწვილმა გაკვირვებითა სთქვა: განა მეფე ფრიდრიხ მეოთხემ იცის რამე ჩემზედაო? და მერე თავადვე დაუმატა: „უთუოდ იცის, რომ მე აქა ვარ, იმიტომ-რომ regum aures et oculi multi“-ო, ვითომ მეფეებს ბევრი თვალი და ყურები ასხიათო.

მეფემ ინახულა თურმე ყმაწვი-ლი, ძალიან გაჰკვირდა, როცა იმისი ამბავი გაიგო დაწვრილე-ბით, ბევრი ემუსაიფა, გამოსცადა, იცის მართლა ისტორია და სამ-ღვთო წერილი თუ არაო, და უფრო გაჰკვირდა, როცა ყმაწვილმა დიდი ცოდნა გამოიჩინა.

როცა უკან დავბრუნდით, ზღვამ ღე-ლვა დაიწყო და პატარა ყმაწვილი ძა-ლიან ავად გაგვიხდა ხომალდის ქანაო-ბის გამო. ვინც იმასთან ვიყავით, ყველა-ნი შევწუხდით, მაგრამ თვით ყმაწვილი ყოჩაღად იყო და გვამხნევებდა: Vir sa-piens qui se ad casus occommodat omnes, ესე იგი, ჭეშმარიტი ბრძენი ის არის, ვინც ყველაფერს აიტანს და საცა მივა, იქაურს ქუდს დაიხურავსო.

ოთხის წლისა შეიქმნა თურმე ეს საკვირველი ყმაწვილი და ჯა-ნის სისუსტემ უფრო და უფრო იმატა. აღარ გაუვლია დიდხანს და ქრისტიანე გეინეკენი გარდაცვლი-ლა. სიკვდილის დროს სრულს გონებაზედ იყო და ჰგრძნო-ბდა, რომ ჰკვდებოდა. უკანა-სკნელი იმისი სიტყვები ეს იყო: „სიკვდილი ყველას თავს არის და ვერავინ ვერ ასცდება ამ წერასაო“.

## წვრილი ამბები

— გლადსტონს, როგორც ეტყობა, არ უყვარს ავტოგრაფოთა შემკრებნი. ერთ-მა ინგლისელმა ვაჭარმა თავი მოაბეზრა თურმე რამდენისამე წლის განმავლობა-ში ათას გვარ შინაარსის წერილებითა, ავტოგრაფსა სთხოვდა და იმ დრომდე არ მოეშვა, ვიდრე გლადსტონს თავის საკუთარის ხელით არ დაუწერნა: „მე, ვილიამ გლადსტონი, ვმოწმობ, რომ ლონდონის ტილოთი მოვაჭრე, ტომას ბლოუნტი, მეტის-მეტად და განსაკუთ-რებით თავ-მომაბეზრებელი და უხიაკი კაციაო“. ბლოუნტს ეს წერილი ჩარჩო-ში ჩაუსვამს და გამოუკიდნია.

— პარიჟის გაზეთები სწერენ, რომ რადგან 1889 წ. რესპუბლიკის დაარსე-ბის ასი წელიწადი უნდა ვიდღესასწაულოთ, რესპუბლიკის ეხლანდელ პრეზიდენტის კარნოს პაპის ძვლები, რომელიც მაგდებურ-გშია დასაფლავებული, და მარსოს ძვლე-ბივე ნაივიდიდგან პარიჟში გადმოვიტანო-თო. მარსო გამოჩენილი გენერალი იყო პირველ რესპუბლიკის დროს და 1796 წელს ავსტრიელთა წინააღმდეგ იბრძო-და.

— გამოჩენილან გულთ-მისანნი, რო-მელნიც ამტკიცებენ თურმე: საფრანგეთის რესპუბლიკის ახალ პრეზიდენტის სა-ხელი დანარჩენის ექვსის საპრეზიდენ-ტო კანდიდატის სახელის ასოებისაგან არის შემდგარიო და ამიტომ უეჭველად კარნო უნდა ამოერჩიათო. ზემოხსენე-ბულნი ექვსნი კანდიდატნი შემდეგნი არიან: ფრეისანე, სოსიე, ფერრი, ბრი-სონი, ფლოკე, აპპერტი. აი როგორ აწყობენ თურმე ამ ექვსის კანდიდატის სახელებს და საიდგან გამოჰყავთ სახელი კარნოსი:

Frey C inet,
S A ussier,
Fer R y,
Brisso N,
Fl O quet
Appert T.

— მაასდამში (ჰოლანდიაში) გაუმარ-თავთ საპატიმრო განსაკუთრებით იმათ-თვის, ვინცა ლოთობს. საყურადღებო ის არის, რომ ამ საპატიმროში ყველა-ზედ პირველად ის მამასახლისი დაუმწ-ყვდევიათ, რომელსაც წინადადება შეუტა-ნია, რომ ლოთებისათვის საპატიმრო და-ვაარსოთო.

— განთქმულს მწერალს ჟიულ ვერნის ამას წინად, როგორც საზოგადოების წინაშე მკითხველს, ცუდი საქმე დამარ-თებია. ერთს არტისტთა კლუბში მოინდომა თურმე, რომ საზოგადოე-ბისათვის წაეკითხა მეტად მოწყენი-ლი და საბავშვო მოთხრობა. ვერნს ასე დაუწყვია: „მოწყალეო ქალბატონე-ბო და ბატონებო! წარმოიდგინეთ, რომ ამ ჟამად სულ შვიდის წლისანი ხართო“. რასაკვირველია, ამის წარმოდგენა არავის შეეძლო და არ გაიარა ¼ საათმა თურ-მე, რომ დარბაზი დაცარიელდა.

— ამას წინად ტულუზის (საფრან-გეთშია) სასამართლოს ხუთის წლით და-პატიმრება და 1,200 მან. გარდასახდევი-ნება გარდაუწყვეტია ერთის ამერიკელისა-თვის, რომელსაც სხვებთან ერთად ყალ-ბი ბილეთები შეუმზადებია კალიფორნიის ბანკისა ს.-ფრანცისკოში. ამ ყალბ ბი-ლეთებს ასაღებდნენ თურმე ფრანგებისა, იტალიელებისა და გერმანიის ბანკის პა-ტრონების შორის. სულ ყალბი ბილეთი 28,000 მან. გაუკეთებიათ.

— პროფესორს მორიც ბენედიქტეს ამას წინად გამოუკვლევია ტვინი ახლო ხანებში მრავალ მკვლელობისათვის დას-ჯილის ავაზაკის შიმანისა და ამტკიცებს თურმე, რომ კაცის-მკვლელთა ავაზაკე-ბის ტვინს გარეგნად ისეთივე შეხედუ-ლობა აქვთ, როგორც მტაცებელ პირუ-ტყვთა ტვინსაო.

— პოლშას ერთს მამულთ-მეპატრო-ნე ქალს, რომელიც გარშავის ახლო-მახ-ლო ცხოვრობს, ქ-ნს ს., გაუგზავნია რომში პაპისათვის საიუბილეო საჩუქრად 200,000 მან. ამას გარდა ქ-ნს ს. შე-უდგენია თავის ანდერძის წერილი და, რადგან ახლო ნათესავები არავინა ჰყავს, ყოველივე თავისი დიდი შეძლება პაპისა-თვის უანდერძნია. საინტერესოა იცო-დეთ, პაპი ამ 200,000 მანათსაც მოა-ქცევს თუ არა თავის მიერ საიუბილეო საჩუქრებას გამოფენაში?.. ეს გამოფე-ნა დაზღვეულია თურმე ცეცხლისაგან შე-კრულ საზოგადოებაში 24,000,000 მანათად.

— კრაკოვში პროფესორ რიდეგირის საჯარო-ქიმიო სამკურნალოში მოსულა ამას წინად ერთი ახალგაზდა ბუნებისმე-მეტყველი, ა., და უთხოვნია, რომ ყურ-ში ღრმად ჩამივარდა დასორსლილი პუ-რის გული, ამის გამო ყური დამისივდა, ძალიან მტკივა და ამომიღეთო. როცა უკითხავთ, ყურთან პურის გულს რა უნდოდაო, ავადმყოფს უთქვამს: ჩემს მე-ზობლად ერთი ქალი დგას, რომელიც მთელი დღე როიალზე უკრავს. მუსიკის ხმა ძალიან ხელს მიშლიდა, რადგან გა-ზამთრისათვის ვემზადებოდიო და ამიტომ ყურებს დასორსლილ პურის გულით ვიცობდიო. ერთს მხარეს პურის გული ყურში ჩამივარდა და ველარ გა-მოვიღეო. რა თქმა უნდა, ექიმებს ამო-უღიათ პურის გული, მაგრამ ამან ძნელად თუ უშველოს და გადაარჩინოს მომაბეზ-რებელ როიალის ხმის სმენასა.

## დეპეშა

3 დეკემბერი

ბერლინი. რეიხსტაგმა მოიწონა საკმაოდ დიდის ხმის უმეტესობით ბაჟის შემოღება პურიაზე ისე, რო-გორც ნათქვამი იყო მთავრობის კანონ-პროექტში. პურიაზე სამი მარკა დაწესდა, უგრეხელსა და ცერცვეულზე 2 მარკა, სიმინდ-ზე—3 მარკა და ქერზე—2¼. უფრო დიდი ბაჟები, რომლის შე-მოღებაც აზრად ჰქონია მთავრო-ბას, ზეთის სახდელ მცენარეულო-ბაზე უარ-ყოფილ იქმნა საკმაოდ დიდის ხმის უმეტესობით.

პეტერბურგის ბირჟა, 1-ს დეკემბერს.

ფასები:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 3 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 180½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — › | — › | 277 |
| — მეორისა | — › | — › | 248 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | — › | — › |
| ტფილისის ბანკისა | — › | | |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის ს ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ 7395.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—ქოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქრონიკონი—მგ=43 წე-ლიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

4 დღე პარასკევი. წმ. დიდ. ქალწ.-მოწ. ბარბარესი და ღირს. იოანე დამას-კელისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ბარბარესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვი-სა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32. მთვა-რე 3 დღისაა.

5 დღე შაბათი. წმ. საბა განწმენდი-ლისა. კათოლ. წმ. ეპისკ. აღმსაარ. პეტრე ხრიზოლოგისა. სომეხ. წმ. ნიკოლოზ სა-კვირველ-მოქმედ., წმ. გრიგოლ საკვირ.-მოქმედ., ნიკოლოზ მამათ-მთავრისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32. მთვარე 4 დღისაა.

6 დღე კვირა. წმ. ნიკოლოზ საკვირ-ველ-მოქმედისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ნიკოლო-ზისა. სომეხ. ალების ღამე სურბ იაკობის მარხვისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 5 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ამბრო-სისა. კათოლ. წმ. ამბროსისა. სომეხ. მინასი, ერმოგენისა და ევგრაფისა. მუსულ. მე 5 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 6 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | . | 5 კაპ |
| პურა 1-ის ხარისხისა | . . | 3 › |
| › 2 | › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 › |
| › › 2— | | 3½ › |
| › › 3 | › | 3 › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | . . | 5 › |
| მე-2 ხარისხისა | . . | 4 › |
| მე-3 — | . . . | › › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 › |
| › 2 | › | 6 › |
| სუკი | . . . . | 13 › |
| ძროხის ხორცი | . . . | 7 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | 6 › |
| › 2 | › | 5 › |


## კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღია ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საა-თამდე

საუნჯე ქართულის ენისა.
ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის სა-ზოგადოების“ კანცელარიაში, I ნა-წილის ფასი 3 მან.

(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. და-ნარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეუ-ლი, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა, რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანი-ლი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა
**თამარიანი**
გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ
ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მა-ლაზიაში
ფასი 60 კაპ. (10—5)

დავიწყეთ გასყიდვა
სრულიად უშიშარის
შვედურის სპიჩკებისა,
რომელიც ბევრად განკარგე-ბულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდ-ველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა
გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კº.
ვერაზე, ტფილისის ქალაქში.
(50—4)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თთვით . . . | 10 მ. — კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 › | | 5 „ . . . | 5 „ 25 › |
| 10 „ . . . | 8 „ 75 › | | 4 „ . . . | 4 „ 75 › |
| 9 „ . . . | 8 „ — › | | 3 „ . . . | 3 „ 50 › |
| 8 „ . . . | 7 „ 25 › | | 2 „ . . . | 2 „ 75 › |
| 7 „ . . . | 6 „ 50 › | | 1 „ . . . | 1 „ 50 › |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრეს-ზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანა-თი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქ-ციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Дов. цен. Тиф. 3 декабря, 1887 г, Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.